



ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2022  
წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

28/11/2022

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია

გივი ზაუტაშვილი

## შესავალი

ანგარიში შედგენილია: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 88-ე მუხლის - „მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა“ - შესაბამისად.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად; მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილების მოთხოვნების დაცვით.

კანონისა და დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი ანგარიშვალდებულია, წელიწადში ერთხელ, როგორც საკრებულოს დეპუტატებს, ასევე მოსახლეობას გააცნოს მიმდინარე წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში.

როგორც მოგეხსენებათ, ერთი წლის წინ მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ გამომიცხადა ნდობა და მაქვს პატივი, ვემსახურო ჩემს მუნიციპალიტეტს, ჩემს ხალხს ჩემს გუნდთან ერთად.

ჩვენი უპირველესი საზრუნავი ხალხია, მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება და მაქისმალურად ვცდილობთ, ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსი გამოვიყენოთ და აქეთ მივმართოთ.

## მმართველობის პოლიტიკა - მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობა

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში, დღეის მდგომარეობით 122 შტატია. დასაქმებულია სულ 114 თანამშრომელი, აქედან 2 პოლიტიკური თანამდებობის პირია, 10 სამსახურის ხელმძღვანელი, 9 განყოფილების უფროსი, 93 პროფესიული საჯარო მოხელე, 10 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. ვაკანტურია - 8 საშტატო ერთეული.

2022 წლის 28 მარტიდან დაიწყო რეორგანიზაციის პროცესი და დასრულდა მიმდინარე წლის 3 ივნისს, რის შედეგადაც გათავისუფლდა ორი პროფესიული საჯარო მოხელე, აქედან ერთი მათგანი ჩაირიცხა მოხელეთა რეზერვში. ორი პროფესიული საჯარო მოხელე შიდა მობილობის შედეგად გადაყვანილი იქნა უფრო დაბალ ან/და თანაბარ პოზიციაზე. რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა მერიის ახალი სტრუქტურა.

მიმდინარე წლის ივნისის თვიდან დღემდე, სამჯერ განხორციელდა მერიის ახალი საშტატო ნუსხის ცვლილება/დამტკიცება.

2022 წლის განმავლობაში ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარდა 12 ღია და 2 დახურული ტიპის კონკურსი.

დღეის მდგომარეობით, გამოსაცდელი ვადით დასაქმებულია 6 პროფესიული საჯარო მოხელე.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენ კომისიაში შემოვიდა სულ 7 განცხადება. აქედან 4 დაკმაყოფილდა, ხოლო 3 - არა (განმცხადებლები იყვნენ სხვა ქვეყნის მოქალაქეები).

საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მომსახურების მიმართულებით, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით, სულ მომზადებულია 1045 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება).

2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე რეგისტრირებულია - 5728 განცხადება. აქედან, მატერიალური სახით შემოსულია - 1355, ელექტრონული ან/და მოქალაქის პორტალით (my.gov.ge) – 1347, ხოლო სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესახებ - 3026 განცხადება.

## ბიუჯეტი

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 დეკემბრის #26 დადგენილებით ყვარლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **12504,3 ათასი ლარით**.

2022 წლის 10 თვეში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 7 ცვლილება.

ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად, 2022 წლის ბიუჯეტი 10 თვის მდგომარეობით განისაზღვრა **23233,7 ათასი ლარით**:

1. გადასახადები ქონებაზე - 5020,0 ათასი ლარი;
2. გადასახადი დღგ-ს სახით - 8060,1 ათასი ლარი;
3. ტრანსფერები - 9485,8 ათასი ლარი;
4. სხვა შემოსავლები - 497,8 ათასი ლარი;
5. არაფინანსური აქტივების კლება - 170,0 ათასი ლარი.

2022 წლის 1 იანვრისთვის ყვარლის მუნიციპალიტეტის გარდამავალი ნაშთი შეადგენდა 3988,7 ათას ლარს, რაც განხორციელებული ცვლილებებით განაწილდა ბიუჯეტში.

## 2022 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებები

ყვარლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტანაა შესაბამისობაში.

ყვარლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი გეგმის შესახებ.

ბოლო წლებში ქვეყნის ბიუჯეტის დაგეგმვის პროგრამულ ფორმატზე გადასვლამ საშუალება მოგვცა ყვარლის მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტი შეგვედგინა ახალ პროგრამულ ჭრილში, რამაც განაპირობა შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტის შედგენა.

პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადდა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-სა და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივნისის #385 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლებში ძირითად პრიორიტეტებად განსაზღვრულია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდობის, კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

## შესყიდვები

2022 წლის განმავლობაში სულ გამოცხადდა 127 ელექტრონული ტენდერი. აქედან 50 ტენდერი გამოცხადდა სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით (45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები; 45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები; 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები; 45400000- შენობის დასრულების სამუშაოები), ხოლო 77 ტენდერი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით.

მიმდინარე წლის განმავლობაში არ შედგა 51 ტენდერი (ანგარიშგასაწევია, რომ ერთიდაიგივე ტენდერი გამოცხადებულია რამდენჯერმე), 4 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. გვაქვს 2 „შეუსრულებელი ხელშეკრულების“ სტატუსის მქონე ტენდერი, როდესაც გამარჯვებულთან გაფორმდა ხელშეკრულება, მაგრამ სამუშაოები არ შეასრულა, ან შეასრულა არაჯეროვნად.

(ერთი ტენდერი გვირილის ბაღი, მეორე საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა.)

სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებს შორის 23 ტენდერი არ შედგა; 1 ტენდერი (ქ. ყვარელში, „ილიას გორაზე“ ილია ჭავჭავაძის ძეგლის მიმდებარედ ტურისტული რეკრეაციული არეალის მოწყობის სამუშაოები) დასრულებულია უარყოფითი შედეგით და 1 შეწყვეტილი ტენდერი, რომელიც ტენდერის ჩატარებამდე შეწყვიტა სატენდერო კომისიამ. 23 ელექტრონული ტენდერი არის „მიმდინარე ხელშეკრულება“ და „შესრულებული ხელშეკრულება“ სტატუსის მქონე (9 ტენდერს აქვს მინიჭებული „შესრულებული ხელშეკრულება“ სტატუსი).

22 ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა საინჟინრო მომსახურებების შესყიდვის მიზნით. აქედან შედგა და ხელშეკრულება გაფორმდა 10 ტენდერში, ხოლო 11 ტენდერი არ შედგა, 1 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. 1 ტენდერი გამოცხადდა და ხელშეკრულება გაფორმებულია საზედამხედველო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით.

22 ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა საქონლის შესყიდვის მიზნით (გასანათებელი მოწყობილობები, საკანცელარიო ნივთები, ავეჯი, მიწის სათხრელი, სახაპავი მანქანები და.ა.შ).

2022 წლის განმავლობაში გაფორმებულია 133 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის გზით. აქედან სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმდა 10 ხელშეკრულება, მათ შორის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 9 ხელშეკრულება. დანარჩენი 124 ხელშეკრულება გაფორმებულია საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით.

2022 წლის განმავლობაში CMR მოდულში გადაუდებელი აუცილებლობით გაფორმდა 11 ხელშეკრულება.

## **ინფრასტრუქტურული პროექტები**

**რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული (დასრულებული) პროექტები:**

1. დასრულდა სოფელ ახალსოფელში I, II და III უბნების ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოები. შესრულებული სამუშაოების სრული ღირებულება - 828 760 ლარი. მოეწყო 1810 გრ.მ. ორფენოვანი ასფალტის საფარი;
2. დასრულდა სოფელ წიწკანანათსერში სკოლასთან მისასვლელი გზის მოასფალტება. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 584 984 ლარი. მოეწყო 853 გრ.მ. ორფენოვანი ასფალტის საფარი;
3. დასრულდა სოფელ კუჭატანში შიდა გზის მოასფალტება და გვერდულებზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 459 372 ლარი. მოეწყო 905 გრ.მ. ორფენოვანი ასფალტის საფარი;
4. დასრულდა ქ. ყვარელში სპორტსკოლის საჭიდაო დარბაზის იატაკის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 112 680 ლარი;
5. დასრულდა სოფელ ალმატში სასაფლაოსთან მისასვლელი ორი გზის მოასფალტების სამუშაოები. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 218 663 ლარი;
6. დასრულდა სოფელ გავაზში მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 136 781 ლარი;
7. დასრულდა სოფელ საბუეში საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 109 889 ლარი. მოეწყო 95 გრ.მ. ორფენოვანი ასფალტის საფარი;
8. დასრულდა სოფელ ახალსოფელში „მთიულების უბნის“ მოასფალტების სამუშაოები. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 355 340 ლარი. მოეწყო 375 გრ.მ. ორფენოვანი ასფალტის საფარი;
9. დასრულდა სოფელ შილდაში ამბულატორიიდან ელიზბარაშვილის ქუჩის კვეთამდე გზის მოასფალტების სამუშაოები. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 306 140 ლარი. მოეწყო 373 გრ.მ. ორფენოვანი ასფალტის საფარი.

### **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული (მიმდინარე) პროექტები:**

1. მიმდინარეობს სოფელ ახალსოფელში სპორტული დარბაზის მშენებლობა. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 1 788 976 ლარი;
2. მიმდინარეობს ქალაქ ყვარელში, საერთო საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ, შიდა ეზოების მოასფალტება. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 699 010 ლარი;
3. მიმდინარეობს სოფელ მთისძირში „ენძების უბნის“ მოასფალტების სამუშაოები. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 277 180 ლარი.

## საანგარიშო პერიოდში დასრულებულია ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული 7 პროექტი:

1. დასრულდა ქალაქ ყვარელში ილია ჭავჭავაძისა და კუდიგორის ქუჩებზე დაზიანებული სანიაღვრე ჭებისა და ქვაფენილის რეაბილიტაცია. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 30 872,81 ლარი;
2. დასრულდა ქალაქ ყვარელში კოტე მარჯანიშვილის პირველი ჩიხის სანიაღვრე არხის მოწყობა. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 47 923,79 ლარი. მოეწყო 190 გრ.მ. რკინა-ბეტონის მონოლითური არხი ცხაურით;
3. დასრულდა ქალაქ ყვარელში პეტრე იბერიისა და ილია ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 69 944 ლარი. მოეწყო 160 გრ.მ. რკინა-ბეტონის არხი;
4. დასრულდა ქალაქ ყვარელში გიორგი სააკაძის ქუჩის მეორე შესახვევში სანიაღვრე არხის მოწყობა. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 69 944 ლარი;
5. დასრულდა ქალაქ ყვარლის #2 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 44 771,6 ლარი;
6. დასრულდა ქალაქ ყვარელში მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციული შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 23 186 ლარი;
7. დასრულდა ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე საინფორმაციო ბანერების დამზადებისა და მოწყობის სამუშაოები. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 6 988,35 ლარი. დამონტაჟდა 24 ბანერი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2022 წელს ყვარლის მუნიციპალიტეტისათვის მთავრობის განკარგულებით გამოყოფილია 326 000 ლარი, ხოლო თანადაფინანსების სახით განსაზღვრულია - 79 101 ლარი.

მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად გამოვლენილია პრიორიტეტები და საკრებულოს მიერ დამტკიცებულია განსახორციელებელი პროექტების ნუსხა. გამოცხადდა ტენდერი, განხორციელდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა. სულ ამ პროგრამის მიხედვით, განისაზღვრა 21 პროექტი, რომლებზეც მიმდინარეობს სამუშაოები.

### საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროგრამა

1. დასრულებულია სოფელ შაქრიანის საჯარო სკოლის რეკონსტრუქციის სამუშაოები. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 9 895 ლარი;
2. დასრულებულია სოფელ შილდის #2 საჯარო სკოლის საკლასო ოთახების კოსმეტიკური რემონტის სამუშაოები. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 25 583 ლარი;

3. დასრულებულია სოფელ ბაღლოჯიანის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 126 943 ლარი.

### **მუნიციპალიტეტი და დონორები**

ყვარლის მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან.

მიმდინარე წელს, ფონდის დაფინანსებით, ქ. ყვარელში განახლებული რეგიონების პროგრამის ფარგლებში, დასრულდა ილია ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 6 000 000 ლარი.

მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება რეაბილიტაციის მეორე ეტაპი. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 4 000 000 ლარი.

### **საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა (PIRDP)**

1. დასრულებულია სოფელ ზინობიანში შიდა გზის მოასფალტების, სკვერისა და კლუბის შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 1 784 902 ლარი. მოეწყო 2000 გრ.მ. ასფალტის საფარი, განხორციელდა კლუბის არსებული შენობის კაპიტალური რემონტი და მიმდებარე სკვერის კეთილმოწყობა;
2. მიმდინარეობს ქალაქ ყვარელში, „ილიას გორაზე“, ილია ჭავჭავაძის ძეგლის მიმდებარედ ტურისტულ-რეკრეაციული არეალის მოწყობის სამუშაოები. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - 1 687 372 ლარი.

### **სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები**

2022 წლის 28 მარტისა და აპრილის დასაწყისის სტიქიით დაზიანებული სახლების რეაბილიტაციისთვის, მთავრობის განკარგულებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 659 000 ლარი. 23 ერთეული სახლის სახურავის რეაბილიტაციისათვის შესყიდული იქნა მოთუთიებული თუნუქის პროფფენილი და გადაეცათ დაზარალებულ მოქალაქეებს. თუნუქის ღირებულება - 64 000 ლარი.



## კეთილმოწყობა

ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახურის“ მიზანია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელოს წესდებით განსაზღვრული სხვადასხვა სახის მომსახურება. კერძოდ:

- ქალაქ ყვარელში არსებული სკვერების, გაზონებისა და პარკების მოვლა-პატრონობა;
- ქ. ყვარელში ქუჩების დაგვა, სანიაღვრე არხების ამოსუფთავება და ქუჩებში, მოედნებსა და სანაგვე ურნებში დაგროვილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების დატვირთვა-გადაზიდვა, ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა;
- ქ. ყვარელში და ყვარლის მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლებში გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა;
- ქ. ყვარლისა და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა და სარიტუალო მომსახურება.

### მიმდინარე წელს განხორციელებული სამუშაოები:

- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდება საყოფაცხოვრებო და მყარი ნარჩენების გატანა შემუშავებული გრაფიკის მიხედვით; ყოველდღიურად სუფთავდება ქალაქი და 20 სოფელი. ყოველდღიურად საშუალოდ ხორციელდება 630 კონტეინერის დაცლა;
- ✓ ყოველდღიურად იგვება და სუფთავდება ქალაქის ქუჩები და ქალაქისა და სოფლების სკვერები (ჯამში 10 ერთეული სკვერი). იგვება და სუფთავდება 40 000 კვ.მ. ფართობი;
- ✓ სასაფლაოების მოვლა-პატრონობა - რეგულარულად ხორციელდება 22 სასაფლაოს მოვლა;
- ✓ ითიბება ბალახი, აგრეთვე ხდება ბალახის შეწამვლა ბალახსაწინააღმდეგო ჰერბიციდებით, იწმინდება ეკალ-ბარდისგან და სუფთავდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან, ხდება დაზიანებული ხეების ჭრა, ვარჯის ფორმირება;
- ✓ მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდება მაგისტრალების გზების გვერდულების დასუფთავება; სანიაღვრე არხების ამოსუფთავება;
- ✓ გამწვანების სპეციალისტების მიერ თეთრდება (შეკირვა) ხეები. შეთეთრდა 500 ხე, ხორციელდება 10 სკვერისა და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-

პატრონობა, დაზიანებული სკამების აღდგენა. აღდგა 60 ერთეული სკამი. სკვერებში განლაგდა 120 ლიტრიანი 30 ერთეული ურნა;

- ✓ ახალი ლედ ტიპის სანათებით იცვლება ძველი გარე განათების სისტემა. აგრეთვე ხდება დაზიანებული და გადამწვარი სანათების შეკეთება-შეცვლა (საჭიროებისამებრ მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე). 2022 წელს აღადგენილი იქნა დაზიანებული 20 ერთეული ლამპიონი. ასევე დაგეგმილია სოფ. ბაღლოჯიანში დაზიანებული გარე განათების ქსელის აღდგენა და ახლის მოწყობა;
- ✓ მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე დაიდგა, ამოიცვალა და კიდევ იდგმება ახალი ნაგვის ურნები; 2022 წელს არ განხორციელებულა ნაგვის ურნების შექმნა, განლაგდა მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გადმოცემული ურნები (1,100 ლიტრიანი) (სულ აღწერილია ნაყიდი და გადმოცემული - 630 ურნა, აქედან არის მწყობრიდან გამოსული ურნებიც);
- ✓ ა(ა)იპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“ მუნიციპალიტეტში ჩატარებულ ღონისძიებებში სხვადასხვა სახის დახმარებას უწევს მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს.

2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი - 799 253 ლარი გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ✓ ადმინისტრაცია - 349442 ლარი;
- ✓ გარე განათების ქსელის მოვლა - 34062 ლარი;
- ✓ სასაფლაოების მოვლა - 71107 ლარი;
- ✓ დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 238971 ლარი;
- ✓ სკვერებისა და პარკების მოვლა-გამწვანება - 105671 ლარი.

2022 წელს დასაქმებულთა რაოდენობა:

- ✓ ადმინისტრაცია - დასაქმებულთა რაოდენობა - 33 ;
- ✓ გარე განათების ქსელის მოვლა - დასაქმებულთა რაოდენობა - 7;
- ✓ სასაფლაოების მოვლა - დასაქმებულთა რაოდენობა - 43;
- ✓ დასუფთავება და ნარჩენების გატანა - დასაქმებულთა რაოდენობა - 57;
- ✓ სკვერების და პარკების მოვლა-გამწვანება - დასაქმებულთა რაოდენობა - 36.

## წყალმომარაგება, წყალარინება

ა(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურება“-მ ცალკე სუბიექტად ფუნქციონირება დაიწყო 29.08.2022 წლიდან. მისი ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ყვარლის მუნიციპალიტეტის 22 სოფლისა და ნაწილობრივ ქ. ყვარლის მოსახლეობის წყლით მომარაგება. ქ. ყვარელში სამსახური ემსახურება 5 ჭაბურღილს, საიდანაც წყალი მიეწოდება 900-მდე აბონენტს.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარა სოფ. ახალსოფელის სასმელი წყლის ბასეინს, რაზეც დაიხარჯა 40 000 ლარი.

ქ. ყვარელში, რუსთაველის ქუჩაზე არსებული ჭაბურღილის სამარაგო ამორტიზებული რეზერვუარის ამოცვლაში გაიხარჯა 29 000 ლარი.

დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს სამსახურის მიერ ტენდერით გამოცხადებული სამუშაოები - სოფ. გავაზსა და სოფ. ჭიკვანში, სადაწნეო კომპლექსისა და სასმელი წყლის ქსელების მოწყობა. მათი საერთო ღირებულება შეადგენს 73 000 ლარს.

სამსახურმა მიმდინარე პერიოდში შეიძინა პოლიეთილენის მილები, ტუმბოები, მრიცხველები, მრიცხველის ყუთები, თანამშრომლებისთვის სპეც-ტანსაცმელი, ელექტროსაქონელი ჭაბურღილებისათვის და სხვადასხვა სამეურნეო საქონელი.

ა(ა)იპ „ყვარელწყალმომსახურება“ პერმანენტულად ახორციელებს სათავე ნაგებობის დაქლორვის სამუშაოებს. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სხვადასხვა სამუშაოები.

შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დაფინანსებით მიმდინარე წელს დაიწყო ქალაქ ყვარლის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის სრული რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც 2025 წელს დასრულდება. პროექტის ღირებულება - 39 000 000 ლარი.

## სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების 2022 წლის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 646 000 ლარით. წლის განმავლობაში, აღნიშნულ თანხას, დაემატა 170 000 ლარი.

მიმდინარე წელს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს დაეწერა და განხილული იქნა 3048 განცხადება, აქედან დადებითად დაკმაყოფილდა 2484 განცხადება. სამსახური 2022 წლის განმავლობაში ახორციელებდა შემდეგ პროგრამებს:

### **მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა**

მუნიციპალიტეტის მერია მრავალშვილიან ოჯახებზე (რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი და აქედან სამი მათგანი მაინც არის არასრულწლოვანი) ახორციელებს სადღესასწაულო დღეებში, წელიწადში სამჯერ, ფულადი საჩუქრის გაცემას. დახმარებას იღებს 115 მრავალშვილიანი ოჯახი. სულ გახარჯულია - 26 300 ლარი.

### **ახალშობილთა ოჯახების დახმარება**

ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაცემა შესაძლებელია: პირველ ბავშვზე - 200 ლარი, მეორე ბავშვზე - 250 ლარი, ორი ტყუპის დაბადების შემთხვევაში კი - 450 ლარი. დახმარება მიიღო 146 ოჯახმა. გახარჯულია - 25 000 ლარი.

### **სარიტუალო მომსახურების დაფინანსების პროგრამა**

სარიტუალო დახმარების პროგრამიდან ფინანსური დახმარების მიღება განსაზღვრულია 200 ლარის ოდენობით. დახმარება გაეწია 49 ოჯახს. სულ მიმდინარე წელს გახარჯულია - 9 800 ლარი.

### **დროებითი საცხოვრებლის ქირის თანხით დახმარების პროგრამა**

სტიქიური მოვლენების შედაგად დაზარალებული, ასევე მარტოხელა მშობლების, შშმ პირთა უსახლკარო ოჯახების დახმარება. მუნიციპალიტეტი ამ ეტაპზე ეხმარება 16 უსახლკარო ოჯახს. გახარჯულია - 15 800 ლარი.

### **სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში (0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვების) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შესაძენი თანხით დახმარების პროგრამა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების დახმარებას, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს. კვების სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე დახმარების თანხა განისაზღვრება ყოველთვიურად, არაუმეტეს 120 ლარისა. ამ ეტაპზე ვებმარებით 6 ოჯახს. გახარჯულია - 922 ლარი.

### **ზამთრის სეზონზე ოჯახების სათბობი საშუალებების დაფინანსება**

პროგრამიდან დაფინანსების მიღება შეუძლიათ ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირებს (მარტოხელა პენსიონერი, მარტოხელა დედა, მრავალშვილიანი ოჯახი, ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ შშმ პირი), რომელთა სარეიტინგო ქულაც არ აღემატება 120 000-ს. მიმდინარე წლის ნოემბრის თვიდან თანხა გაიზარდა 150 ლარამდე. თითოეული - 150 ლარის ოდენობით. ამ ეტაპზე დახმარება გაეწია 26 ბენეფიციარს. გაიხარჯა - 3 120 ლარი.

### **ერთჯერადი ფინანსური დახმარება**

ერთჯერადი ფულადი დახმარება ეძლევა სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რომელთა სარეიტინგო ქულაც არ აღემატება 130 000-ს, ონკოლოგიურ პაციენტებს. ერთჯერადი ფულადი დახმარებით ისარგებლა 468 ბენეფიციარმა. გახარჯულია - 48 800 ლარი.

### **9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის ფულადი საჩუქარი**

მუნიციპალიტეტში გვყავს მეორე მსოფლიო ომის ერთი ვეტერანი, რომელსაც ერთჯერადად, 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, გამოეყო 300 ლარი.

### **სასწრაფო-სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ქვეპროგრამა**

პროგრამა მოიცავს როგორც კვლევების, ასევე ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსებას. დახმარება გაეწია 565 პაციენტს. გაიხარჯა - 193 407 ლარი.

### **ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების მომსახურება**

- დახმარება გაეწია 190 პაციენტს. გაიხარჯა - 109 036 ლარი;
- მკურნალობისათვის საჭირო თანადაფინანსება გამოიყო 989 მოქალაქისათვის. გაიხარჯა - 147 050 ლარი.

### **დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა**

პროგრამა ითვალისწინებს თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარებას, რომლებიც ჩართული არიან სახელმწიფო პროგრამაში. დაავადებულ პირთა ტრანსპორტირების თანხა განისაზღვრება ყოველთვიური 150 ლარის ოდენობით. პროგრამაში ჩართულია 25 პაციენტი. გახარჯულია - 36 000 ლარი.

### **ეპილევსიითა და ცერებრალური დამბლით დაავადებული პაციენტების დახმარების პროგრამა**

მუნიციპალიტეტის მერია აღნიშნული დიაგნოზის მქონე პაციენტებს წელიწადში ოთხჯერ 100 ლარით ეხმარება. დახმარება გაეწია 92 პაციენტს. გახარჯულია - 37 600 ლარი.

### **იშვიათი თანდაყოლილი, მძიმე პათოლოგიის მქონე ბავშვების დახმარების პროგრამა**

პროგრამით ფინანსდებიან იშვიათი თანდაყოლილი დაავადებების მქონე პაციენტები, როგორცაა ჰემოფილია, ცელიაკია, ფენილკეტონურია და სხვა. თითოეულზე - 200 ლარის ოდენობით. გახარჯულია - 4 800 ლარი.

### **18 წლამდე ასაკის შშმ პირთა დახმარება**

18 წლამდე ასაკის დაუნის სინდრომის, 7 წლამდე ასაკის ბავშვთა ადრეული განვითარების შეფერხებისა და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია-აბილიტაციის თანადაფინანსება.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში შექმნილია ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. მიმდინარე წელს მულტიფუნქციური ჯგუფის მხარდაჭერა მიიღო 10-მა ოჯახმა, მოუგვარდათ საყოფაცხოვრებო პირობები და სხვადასხვა მუნიციპალურ პროგრამაში იქნენ ჩართული.

# საერთაშორისო და მუნიციპალიტეტთაშორისი თანამშრომლობა, ტურიზმი

## საგარეო ურთიერთობები

მიმდინარე წელს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ტუკუმსის მუნიციპალიტეტთან (ლატვიის რესპუბლიკა). ასევე განახლდა თანამშრომლობა პლუნგეს მუნიციპალიტეტთან (ლიეტუვას რესპუბლიკა). ყვარელმა უმასპინძლა დელეგაციებს აღნიშნული დამეგობრებული მუნიციპალიტეტებიდან და დაისახა ორმხრივი თანამშრომლობის გეგმები.

## საერთაშორისო პროექტები

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად არის ჩართული პროექტში „საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მეწარმეობის განვითარება“, რომელიც ხორციელდება პოლონეთის ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროს მიერ. პროექტის ფარგლებში შემუშავდა საინვესტიციო წინადადების მომზადებისა და ინვესტორის მომსახურების სტანდარტი, გაზიარებულ იქნა პოლონური გამოცდილება ამ მიმართულებით, მომზადდა საინვესტიციო წინადადებები და ა. შ.

მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო დაფინანსება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული - საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში. კერძოდ, კონკურსის საფუძველზე შერჩეულ იქნა მერიის მიერ წარდგენილი ორი პროექტი: პროექტების ჯამური ღირებულება - 3 454 425 ლარს.

## ტურიზმი

კოვიდ პანდემიისგან გამოწვეული შეზღუდვების გამო მიმდინარე წლის მარტამდე ყვარლის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი იყო დახურული. მარტიდან ნოემბრის ჩათვლით საინფორმაციო ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 32 730 ვიზიტორმა. აქედან:

- შიდა ტურისტი 18 981 (ქართველი);

- რუსეთი - 8 570;
- უკრაინა - 1393;
- ისრაელი - 1109;
- არაბული ქვეყნები - 713;
- ლატვია - 521;
- აშშ - 412;
- დიდი ბრიტანეთი - 220.

2022 წელს ხორციელდება შემდეგი მასშტაბური ტურისტული პროექტები:

- ❖ „ილიას გორის“ რეკრეაციული არეალის განახლება;
- ❖ უნიკალური ტურისტული პროდუქტის - ზინობიანის ეთნოსოფლის კონცეფციის განვითარება, რაც გულისხმობს სოფლის შიდა გზების მოასფალტებას, სკვერისა და ეთნოგრაფიული მუზეუმის მოწყობას სოფელ ზინობიანში.

მიმდინარე წელს ასევე ინტენსიურად ხორციელდება ილიას ტბისა და სხვა რეკრეაციული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა, რამაც კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა ყვარელი, როგორც ადგილობრივებისთვის, ისე ვიზიტორებისათვის.

2022 წლის 8 ნოემბერს გრანდიოზულად აღინიშნა ილია ჭავჭავაძის 185 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ილიაობა“, რომლის ორგანიზებაში ასევე მონაწილეობა მიიღო კახეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციამ „Visit Kakheti“.

## **ეკონომიკა, ქონების მართვა, სტატისტიკა**

დღეის მდგომარეობით შემოსულია 2950 წერილი, განცხადება და კორესპონდენცია. აქედან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსულია 1654 წერილი, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან 164, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციიდან - 267, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოდან - 11, ხოლო დანარჩენი - 854 მოქალაქეებისგან და სხვა ორგანიზაციებიდან.

მუნიციპალიტეტის ინიციატივით სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა და ქონების ეროვნული სააგენტოდან საკუთრებაში გადმოგვეცა ქ. ყვარელში მდებარე 11544 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 57.06.51.011.353) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტექნიკის განთავსების მიზნით.



- ❖ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის განმავლობაში გამოცხადებულია 3 აუქციონი.
- ❖ გაიყიდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 ქონება: კერძოდ, სოფ. საბუეში მდებარე 2234 კვ.მ. და ქ. ყვარელში მდებარე 182 კვ.მ. არასასოფლო მიწა; პრივატიზებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა - 43860 (ორმოცდასამათასრვაასსამოცი) ლარი;
- ❖ 18 ნოემბერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორადი ნედლეულის (ჯართი) აუქციონი გაიმართა;
- ❖ მიმდინარე წლის განმავლობაში გაფორმდა 2 საიჯარო ხელშეკრულება. კერძოდ, ქ. ყვარელში, აღმაშენებლის ქ. #16-ში (ყოფილი ყვარლის პოლიკლინიკის შენობა) მდებარე შენობის პირველ სართულზე მდებარე 27 კვ.მ. (ს/კ 57.06.59.030) ფართი -შპს „თელავის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერს“ და სოფ. გავაზში, ყოფილი საკრებულოს შენობის პირველ სართულზე (ს/კ 57.04.60.000.077) მდებარე 25 კვ.მ. ფართი - ფ/პ პაატა ბერიაშვილს.
- ❖ მომზადდა საკადასტრო აზომვითი ნახაზები და მოხდა მათი გამიჯვნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაინტერესებული ქონებების, რომლებიც სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა შემდგომში ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის მიზნით. მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით, ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში განთავსდება მოწესრიგებული და ტექნიკით აღჭურვილი პოლიკლინიკა-ამბულატორიები.

ასევე, მიმდინარეობს უზუფრუქტის ხელშეკრულების მომზადება ა(ა)იპ „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრისთვის“ ფართის გადაცემის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით მოხდა ქ. ყვარელში მდებარე ყოფილი სასამართლოს შენობის ფართის გამიჯვნა (ს/კ 57.06.51.009.606.01.502), რომლის დარჩენილ ნაწილში განთავსდება ორგანიზაცია „წითელი ჯვრის საზოგადოება“

## **კულტურის ხელშეწყობა**

კულტურული ღონისძიებების განსახორციელებლად 2022 წელს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 30 000 ლარი იქნა გამოყოფილი, რომელიც წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებში (კერძოდ, კულტურული, შემეცნებითი, საგანმანათლებლო, ლიტერატურული და სხვა) იქნა გახარჯული.

## სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა

სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა ხელშეწყობისათვის 2022 წელს ყვარლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 88 300 ლარი გამოიყო.

სპორტულ ორგანიზაციებთან, სპორტის განვითარების ა(ა)იპ-ებთან, სპორტის ფედერაციებთან და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით, ტრადიციულად, წარმატებით ხორციელდება სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა მუნიციპალურ პროგრამათა კოორდინაცია, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა.

ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების მიზნით, ჯერ კიდევ 2018 წელს NGO - World Vision საქართველოს, „კახეთის სამხარეო განვითარების პროგრამის“ ფარგლებში შემუშავდა ადგილობრივი ახალგაზრდული სტრატეგიის დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმების მხარდაჭერის მიმართულებით 2021 წლის პროგრამული ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამა „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“, რომლის მიზანს წარმოადგენდა ყვარლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდების მხარდაჭერა დასაქმებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაში.

პროგრამა გულისხმობდა კონკურსის წესით ახალგაზრდული ინიციატივების გამოვლენასა და გამარჯვებული პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას. პროექტში მონაწილეობდა 31 ბენეფიციარი, დაფინანსება მოიპოვა - 30 ბენეფიციარმა.

- პროექტის - „ვისაუბროთ ინგლისურად“ მიზანი იყო ახალგაზრდების ერთ-ერთი საჭიროების - ინგლისური ენის შესწავლა. მეცადინეობებს უძღვებოდა ინგლისურენოვანი მოხალისე მასწავლებელი სამხრეთ აფრიკიდან. 32-მა ბენეფიციარმა გაიუმჯობესა ინგლისურ ენაზე საუბრის უნარი.

2021 წლის 5 აპრილს, სსიპ ახალგაზრდულ სააგენტოსა და ყვარლის მერიას შორის მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის განვითარების, ერთობლივი პროექტებისა და აქტივობების განხორციელების მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მემორანდუმის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერიის ორმა თანამშრომელმა წარმატებით გაიარა ღია ონლაინ კურსი - „ახალგაზრდობის პოლიტიკა“ და გადამზადდა მუნიციპალური ახალგაზრდობის კოორდინატორად. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს სსიპ ახალგაზრდობის პოლიტიკის ფორუმში.

ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით კვლევისა და საკონსულტაციო კომპანიის „ეი-სი-თი-ს“ მიერ ყვარლის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების კვლევა ჩატარდა და მომზადდა კვლევის ანგარიში.

ამ კვლევის საფუძველზე 2022 წლის გაზაფხულზე შემუშავდა ყვარლის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2022- 2024 წ.) და ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე, შემუშავდა პროგრამები და აქტივობები არაფორმალური განათლების მიმართულებით.

#### **სპორტული ღონისძიებები:**

- სასკოლო სპორტის კვირეული;
- თითქმის ყველა სოფელს თავისი სახალხო დღესასწაული აქვს, სადაც ტარდება ქართული ჭიდაობის ტურნირი;
- მაისს-ივნისში ჩატარდა ტურნირი მინი-ფეხბურთში;
- ივლის-აგვისტოში - ფეხბურთში გაიმართა მასტერ ლიგა;
- 24-30 სექტემბერს - სპორტის 6 სახეობაში გაიმართა ევროპის სპორტის კვირეული.

#### **სკოლამდელი აღზრდა**

სკოლამდელი აღზრდის მიმართულების დაფინანსებისთვის 2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო 2 990 100 ლარი. მუნიციპალიტეტში სულ 22 საბავშვო ბაღია, ბავშვების რაოდენობა - 1 133, ალტერნატიული ბაღების ბავშვთა რაოდენობა - 33, დასაქმებულთა რაოდენობა სულ - 333.

#### **სამხედრო აღრიცხვა და გაწვევა**

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით

- 2005 წელს დაბადებულ მოქალაქეთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა (მიწერა) მიმდინარეობდა 2022 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 30 აპრილის ჩათვლით;
- პირველად სამხედრო აღრიცხვას ექვემდებარებოდა 178 ჭაბუკი. აყვანილია აღრიცხვაზე 162 ჭაბუკი. სხვადასხვა მიზეზის გამო 16 ჭაბუკი დარჩა აღრიცხვაზე ასაყვანი;
- სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევა მიმდინარეობდა 2022 წლის 1 თებერვლიდან 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით. გეგმით გათვალისწინებული იყო 45 წვევამდელის გაწვევა. გაწვეულია 3 წვევამდელი თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებში. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს ქვედანაყოფებში არ არიან გაწვეულები. შინაგან საქმეთა სამინისტროს ვადიანი სამხედრო საკონტრაქტო სამსახურის გასავლელად ჩაირიცხა 5 წვევამდელი, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში გაწვეულია 7 წვევამდელი;
- გამოძახებული იყო გამწვევ კომისიაზე სულ 713 წვევამდელი;
- გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა 203 წვევამდელი;
- სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გადავადების მოსაკრებელი არ გადაუხდია არც ერთ წვევამდელს;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში გაწვეულია 3 რეზერვისტი;
- სასწავლო შეკრებაზე რეზერვისტების გაწვევა ამ ეტაპზე არ ყოფილა დაგეგმილი.

### **2022 წლის 1 აგვისტოდან 2022 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით**

- სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვევამდელთა საშემოდგომო გაწვევა მიმდინარეობს 2022 წლის 1 აგვისტოდან 2022 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით. გეგმით გათვალისწინებულია 35 წვევამდელის გაწვევა. ამ ეტაპისათვის გაწვეულია 5 წვევამდელი თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებში. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს ქვედანაყოფებში არ არიან გაწვეულები. შინაგან საქმეთა სამინისტროს ვადიანი სამხედრო საკონტრაქტო სამსახურის გასავლელად ჩაირიცხა 5 წვევამდელი, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში გაწვეულია 1 წვევამდელი;
- გამწვევ კომისიაზე გამოძახებას ექვემდებარება სულ 765 წვევამდელი. გამოძახებულია - 398;

- გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა 34 წევრადელი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში გაწვეულია 10 რეზერვისტი;
- სასწავლო შეკრებაზე რეზერვისტების გაწვევა ამ ეტაპზე არ ყოფილა დაგეგმილი.

## შიდა აუდიტი, საზედამხედველო და სამართლებრივი მიმართულებები

### შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის სამსახური მოქმედებს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებისა და ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების, მეთოდური მითითებების, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის, სტანდარტებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

შიდა აუდიტის სამსახურმა, 2022 წლის გეგმის შემუშავების მიზნით, შეისწავლა მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებული იურიდიული პირების საქმიანობა. ჩატარებული სისტემური ანალიზის საფუძველზე, სამსახურის მიერ განისაზღვრა აუდიტის გარემო და გამოვლინდა რისკები, მოხდა რისკების ანალიზი და დაჯგუფება, შემუშავდა მათი კონტროლის მექანიზმები.

რისკების შეფასების თანამედროვე მოდელის გამოყენებით გამოვლენილი სხვადასხვა რისკ-ფაქტორების ანალიზის შემდგომ შემუშავდა შიდა აუდიტის 2022 წლის გეგმა.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიმართ რისკის შეფასების კრიტერიუმად აღებული იქნა ბიუჯეტის მოცულობა და პერიოდი.

საანგარიშო პერიოდში, შიდა აუდიტის სამსახურმა განახორციელა დამტკიცებული წლიური გეგმის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუნდებულ ა(ა)იპ-ებში ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.

2022 წლის შესამოწმებელი ობიექტების რაოდენობა განსაზღვრული იყო 5 ერთეულით, ესენია:

#	შიდა აუდიტის ობიექტი	აუდიტის სახე	აუდიტორული შემოწმების პერიოდი	აუდიტორთა რაოდენობა	მონიტორინგის პერიოდი
1	ა(ა)იპ „ ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლა“	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	1 თებერვალი - 25 მარტი	2	მაისი
2	ა(ა)იპ „ ყვარელსერვისი“	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	1 აპრილი - 25 მაისი	2	ივლისი
3	ა(ა)იპ „ კულტურის განვითარების ცენტრი“	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	1 ივნისი - 29 ივლისი	2	სექტემბერი
4	მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	შესაბამისობის აუდიტი	1 აგვისტო - 30 სექტემბერი	2	ნოემბერი
5	ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	3 ოქტომბერი - 30 ნოემბერი	2	დეკემბერი

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი და დამტკიცებული 2022 წლის წლიური გეგმა გადაეგზავნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრს.

დამტკიცებული გეგმის მიხედვით 2022 წლის 10 თვეში შემოწმდა აუდიტის 3 ობიექტი. აუდიტის მიზანს წარმოადგენდა ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ხარჯვის კანონიერების შესწავლა და ანალიზი, ასევე საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესწავლა.

- ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან;
- სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან;
- საქმისწარმოების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

### გაცემული რეკომენდაციები

2022 წლის 10 თვის პერიოდში განხორციელებული შემოწმებების შედეგად გამოვლენილ მიგნებებზე გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

2022 წლის 10 თვის პერიოდში შიდა აუდიტის მიგნებები პროცენტულად შეადგენს:

- ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება - 38,80%;
- ფინანსური რესურსების არაეფექტიანი ხარჯვა - 1,49%;
- შესყიდვები - 20,89%;
- შრომითი ხელშეკრულებები - 1,49%;
- მივლინება - 11,94%;
- კანონმდებლობასთან შესაბამისობა - 20,89%;
- ინვენტარიზაცია - 1,49%;
- საწვავის აღრიცხვა-ანგარიშგება - 2,98%;
- შიდა კონტროლი - 0,03%.

### გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებს აუდიტის სუბიექტის მიმართ წარდგენილი

რეკომენდაციების შესრულების ცხრილის მეშვეობით, რომელიც სუბიექტს ეგზავნება აუდიტის საბოლოო ანგარიშთან ერთად და ვალდებულნი არიან უკან დააბრუნონ შიდა აუდიტის სამსახურში შევსებული სახით, სადაც გაწერილია თუ რა პერიოდში მოხდება აუდიტის მიერ აღმოჩენილი მიგნებების გამოსწორება.

2022 წლის 10 თვის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულება პროცენტულად შეადგენს:

- განხორციელებულია-23%;
- განუხორციელებელია - 53,06%;
- ნაწილობრივ შესრულებული - 11,94%;
- მიმდინარე - 12%.

### **ზედამხედველობა**

- მუნიციპალიტეტის სახელით სამშენებლო სამუშაოებზე დაიწერა 7 გაფრთხილება;
- განხილულ იქნა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული ზედამხედველობის სფეროს მიკუთვნებული 340 განცხადება და ყველა მათგანზე მომზადდა წერილობითი პასუხი;
- განხილული იქნა 200 სამეზობლო დავა, 91 შემთხვევაში მოხდა მხარეებს შორის შეთანხმება, ხოლო დანარჩენი გადამისამართდა შესაბამის ორგანოებში (სასამართლო, პოლიცია და ა.შ.);
- ზედამხედველობის სამსახური მონაწილეობას ღებულობს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის, ინსპექტირების ჯგუფისა და სხვა სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში.

### **იურიდიული მიმართულება**



ა) ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით მონაწილეობა მიღებულია 30 ადმინისტრაციული საქმის სასამართლო განხილვაში, რომლებზეც შედგენილი იქნა შესაგებლები და შესრულებული იქნა ყველა საპროცესო მოქმედება. აღნიშნული სასამართლო საქმეებიდან: მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ მიღებულ იქნა 4 გადაწყვეტილება. 1 საქმეზე დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა. ხოლო, რაც შეეხება 25 საქმეს, სასამართლო განხილვა ჯერ არ დასრულებულა;

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შემოვიდა 66 განცხადება. აქედან პასუხი გაეგზავნა 63 განმცხადებელს. 3 განცხადება დამუშავების პროცესშია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია;

გ) კანონიერი მოსარგებლებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით განხილული იქნა 2 განცხადება. არასაკმარისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის გამო ორივე განმცხადებელს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე;

დ) შემოვიდა 1 ადმინისტრაციული საჩივარი, რომელთან დაკავშირებითაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ;

ე) შემუშავებულ იქნა 5 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

ვ) განხილულ იქნა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იურიდიულ სფეროს მიკუთვნებული განცხადებები და ყველა მათგანზე მომზადდა წერილობითი პასუხი;

ზ) სამსახური ჩართულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფში და ახორციელებს სამუშაო ჯგუფის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე სამართლებრივი ღონისძიებების გატარებას.

თ) სამსახური მონაწილეობას ღებულობს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის, ინსპექტირების ჯგუფისა და სხვა სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში;

ი) ყვარლის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით გაიმართა 21 დასახელების საერთო კრება და ამომრჩევლებთან კონსულტაციები.